საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

სტრატეგიული გეგმა

2020-2021 წწ

„ადგილი მეტი შესაძლებლობებისთვის!“

თბილისი,2020

სასწავლო ცენტრის საქმიანობის არეალი და სამართლებრივი ფორმა

იუსტიციის სასწავლო ცენტრი წარმოადგენს იუსტიცის სამინიტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი ფუნქციაა სწავლება, შეფასება და რეფორმების იმპლემენტაციის მხარდაჭერა.

ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა მორგებულია მის ძირითად საქმიანობაზე. ცენტრის ყველა სამსახური კონკრეტული სერვისის გაცემის მიზნითაა შექმნილი.

ცენტრის მომსახურება სწავლებისადმი კომპლექსურ მიდგომას ეფუძნება და მოიცავს ყველაზე აქტუალურ და მოთხოვნად სფეროებს, როგორიცაა: სამართლებრივი,სოციალური უნარები, ფინანსები და ინფორმაციული ტექნოლოგიები.

სასწავლო ცენტრი ერთადერთია ბაზარზე, რომელიც სწავლების პარალელურად შეფასებასაც სთავაზობს მომხმარებელს. ყოველივე ეს ქმნის სასწავლო ცენტრის უნიკალურობის ფორმულას და განაპირობებს მის უპირატესობებს ბაზარზე.

ცენტრის სამიზნე აუდიტორიას შეადგენს ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო თუ კერძო ორგანზიაცია და ფიზიკური პირი ქვეყნის მასშტაბით.

სასწავლო ცენტრის ყველა ძირითადი სამუშაო პროცესი ხორციელდება უშუალოდ მის მიერ, ხოლო გარე მომწოდებლის მიერ ხორციელდება (outsourcing) მხოლოდ დამხმარე პროცესები: ბეჭდვა, კვებითი მომსახურება, თარგმნა, ტექნიკური მხარდაჭერა.

სასწავლო ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 28 იანვრის N56 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დებულების “შესაბამისად. ამავე დროს სასწავლო ცენტრი მოქმედებს იუსტიციის სასწავლო ცენტრის შრომის შინაგანაწესის, სამუშაო მიმართულებათა სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხედვა, მისია და მიზანი

სასწავლო ცენტრის ხედვა

სასწავლო ცენტრის ხედვა ფოკუსირებილია მნიშვნელოვან ორიენტირზე: ხელი შეუწყოს ისეთი სახელმწიფოს აღმშენებლობას, რომელიც ხელმძღვანელობს მმართველობის საუკეთესო პრინციპებით, უზრუნველყოფს სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას, საზოგადოების კეთილდღეობას და უსაფრთხოებას, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები და მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობები.

ჩვენ ვქმნით გარემოს მეტი შესაძლებლობებისთვის!

სასწავლო ცენტრის დანიშნულებაა აქტიურად დაუჭიროს მხარი კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვასა და სამართლებრივი რეფორმების განხორციელებას.

სასწავლო ცენტრის მისია და მიზნები

სასწავლო ცენტრის მისიაა აქტიურად იყოს ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლებას, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას სამართლებრივი რეფორმებისა და ახალი მიდგომების შესახებ, რათა ქვეყანაში დაცული იყოს ადამიანის უფლებები და საზოგადოების უსაფრთხოება, საჯარო მოხელეთა გაძლიერებით უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის მომსახურება და ხელი შეუწყოს ქვეყანაში კარგი მმართველობის განვითარებას.

სასწავლო ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებებია:

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებისა და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებითა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით.

იუსტიციის სამინისტროს სისტემის და სხვა დაინტერესებული პირების ორგანიზაციული განვითარების, მართვისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა საუკეთესო საერთაშორისო თუ ადგილობრივი პრაქტიკის ადაპტირებისა და დანერგვის გზით.

სასწავლო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიდგომები და მომსახურება

ცენტრი საკუთარი მიზნების მიღწევისთვის დაინტერესებულ პირებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებას:

- სწავლება - არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით (როგორიცაა: ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა, კონფერენცია დასხვა).
- შეფასება - პერსონალის შესარჩევი (საკვალიფიკაციო) სასერტიფიკატო ტესტების შემუშავება, ტესტირებების ორგანიზება და ჩატარება.
- კონსულტირება - საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს კვლევისა და შეფასების განხორციელებას ორგანიზაციაში და მის სპეციფიკაზე მორგებული სტრატეგიებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავებას. საკონსულტაციო მომსახურების მიზანია, ორგანიზაციებს გაუწიოს დახმარება როგორც ადამიანური რესურსის ეფექტურად მართვაში, ისე საორგანიზაციო და სხვა სისტემების გაძლიერებასა და სრულყოფაში.

სასწავლო ცენტრის ღირებულებები

სასწავლო ცენტრის საქმიანობის მთავარი პრინციპია:

- მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ
- ინოვაციური მიდგომების დანერგვა
- პროფესიონალიზმი
- ორიენტაცია მომხმარებელზე და მომსახურების ხარისხის მაღალი სტანდარტის დაცვა
- ღიაობა

სასწავლო ცენტრის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები

სასწავლო ცენტრი საკუთარ მომსახურებას სთავაზობს იუსტიციის სისტემისა და სხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულების, საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლებს, სტუდენტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს.

სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული კონტექსტის ანალიზი

სასწავლო ცენტრს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მკაფიოდ განსაზღვრული პროფილი, გამოკვეთილი ნიშა (ექსკლუზიურობა) და გამოცდილება სამართლებრივი მიმართულებით სწავლებისა და რეფორმების მხარდამჭერი მასშტაბური და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიმართულებით.

სასწავლო ცენტრს აქვს:

- სწავლებისა (მათ შორის ელექტრონული) და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების დანერგვის გამოცდილება
- კომპლექსური სერვისები (წარმატების ფორმულის კონცეფცია)
- სასწავლო პროგრამების სიმრავლე და მრავალფეროვნება
- ექსკლუზიური სასწავლო და სასერტიფიკატო პროგრამები
- შეფასების მომსახურება
- ფართო მიზნობრივი აუდიტორია

ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო ცენტრის გამოცდილება პროცესების მართვის კუთხით, კერძოდ კი:

- საჯარო სამსახურის რეფორმიდან გამომდინარე ადაპტირებული მენეჯმენტის პროგრამები
- ოპერირების გამოცდილება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად
- სერვისების მიწოდების ფართო მასშტაბები და მოქნილობა

დაგეგმვაში ასევე მოხდა არსებული რესურსების გათვალისწინებაც, რაც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ექსკლუზიური სასწავლო-დასასვენებელი კომპლექსი ქალაქგარეთ (სასწავლო ცენტრს აქვს კეთილმოწყობილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა თბილისსა და ყვარელში
- მარტივი ორგანიზაციული სტრუქტურა და კვალიფიციური გუნდი; წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო დონის ექსპერტები
- ახალგაზრდა ტრენერების მუდმივად განახლებადი პლატფორმა (წარმატებული თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან)
- ფინანსური სახსრების მიღების ალტერნატიული წყაროები
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების სიმრავლე
- საზღვარგარეთის წამყვან აკადემიურ ორგანიზაციებთან დამყარებული კონტაქტები

სასწავლო ცენტრის 2020-2021 წლების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მისიისა და ხედვის განხორციელებისათვის იუსტიციის სასწავლო ცენტრის პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს 2020-2021 წლებში წარმოადგენს:

სტრატეგიული მიზანი N1

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

ამოცანა **1.1** შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირება საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

ამოცანა **1.2** საკანონმდებლო ცვლილებების დანერგვისა და განმტკიცების ეფექტური მექანიზმების შექმნა.

სტრატეგიული მიზანი N 2

იუსტიციის სამინისტროს სისტემის განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობა.

ამოცანა **2.1** დაინტერესებული მხარეები იღებენ საჭიროებების შესაბამის მომსახურებასა და პროდუქტებს.

ამოცანა **2.2** სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში დანერგილია საჭიროებათა გამოვლენის, განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვის სტანდარტი.

ამოცანა **2.3** ეფექტიანად ხორციელდება სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ მიმართული სოციალური პროექტები.

სტრატეგიული მიზანი N 3

სასწავლო ცენტრის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ინოვაციური მიდგომების განვითარება.

ამოცანა **3.1** გაზრდილია ხელმისაწვდომობა სასწავლო ცენტრის სერვისებზე, რაც ხელს უწყობს დაინტერესებულ ორგანიზაციებში სწავლების თანამედროვე მიდგომების, მომხმარებლის ინტერესებზე ორიენტირებული მომსახურების, ეფექტიანი მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების / მეთოდების ადაპტირებასა და დანერგვას.

მესამე სტრატეგიული მიზნის და შესაბამისი ამოცანის მისაღწევად სასწავლო ცენტრი მუდმივად ზრუნავს საკუთარი მომსახურების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაზრდაზე; ასევე მნიშვნელოვანია მისთვის ამ მომსახურების მორგება მომხმარებლის საჭიროებებზე.

2020-2021 წლებში ცენტრის პრიორიტეტებია:

3.1.1. საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული სერვისების ადაპტირება / დანერგვა - მოთხოვნად სასწავლო პროგრამებზე საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება; სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება კორპორაციულ დამკვეთ ორგანიზაციებთან. გაყიდვების სტრატეგიის შემუშავება: ახალი ბაზრის მოძიება, ახალი პროგრამების შექმნა; კერძო პირებზე მომსახურების გაყიდვის წესის გამარტივება;

3.1.2. ელექტრონული სასწავლო კურსების დანერგვა - ელექტრონული სწავლების დანერგვის მიზნით საპილოტე პროექტის მომზადება და განხორციელება დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; საპილოტე პროექტის შედეგზე დაყრდნობით არსებული ტრენერების გადამზადება სწავლების შერჩეულ მეთოდოლოგიაში; საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა; სწავლების ახალ მეთოდზე ეტაპობრივი გადასვლა ხარჯების შემცირების რაციონალური გეგმის მიხედვით; ახალი მომსახურების პოპულარიზების მიზნით მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა.

3.1.3. მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული ავტომატიზებული პროგრამის (ვებსერვისის) სრულყოფილად ამოქმედება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სასწავლო ცენტრის პროცესების ეფექტიანობის გაზრდას და ამავე დროს მნიშვნელოვნად გაამარტივებს გარე მომხმარებელთან კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაზიარებას. ავტომატიზებული პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს სასწავლო ცენტრში მოქნილი და ეფექტიანი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

ინტერნეტის ფართო ხელმისაწვდომობისა და კომპიუტერული ინოვაციური საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისგ ამოყენებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრში სამომავლოდ შესაძლებელია შეიქმნას მოქნილი სასწავლო სისტემა, რომელიც ინტეგრირდება SOFT-ის გარე მოხმარების პლატფორმაზე - mytcj.gov.ge. აღნიშნული კი კურსით დაინტერესებულებს დროისა და რესურსების მინიმალური დანახარჯებით, დისტანციურად, ცოდნის მიღების საშუალებას მისცემს. აღსანიშნავია, რომ რეგიონულ ოფისებში მომუშავე თანამშრომელთა ტრენინგები დაკავშირებულია ტრანსპორტირების ხარჯებთან, ასევე დროსა და ფინანსურ რესურსებთან, ამდენად, დისტანციური სწავლება რესურსების მინიმალიზაციის კარგი საშუალებაა. აქედან გამომდინარე, იუსტიციის სასწავლო ცენტრი ორიენტირებულია სამომავლოდ ელექტრონული სწავლების დანერგვასა და განვითარებაზე.

სტრატეგიული მიზანი N 4

სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, რესურსების განვითარების, ეფექტიანი მართვისა და ხარისხის მაღალი სტანდარტების დანერგვის გზით.

ამოცანა **4.1** სასწავლო ცენტრში დანერგილია და მუდმივად უმჯობესდება ხარისხის მართვის მაღალი სტანდარტი. სასწავლო ცენტრში დანერგილია ISO **9001:2015** ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც მიმართულია სერვისებისა და სასწავლო პროგრამების ხარისხის მუდმივი კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ, სამუშაო პროცესებისა და რესურსების ეფექტურობის ზრდისკენ.

ამოცანა **4.2.** სასწავლო ცენტრი ფინანსურად მდგრადია, რაც გამოიხატება დაფინანსების გეგმის და მისი შესრულების ზრდაში. სასწავლო ცენტრი გეგმავს გაზარდოს საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებისა და პარტნიორობის განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევა, კერძოდ კი განაახლოს დონორების ბაზის მონაცემები, განახორციელოს დონორების საკოორდინაციო შეხვედრები, მოამზადოს საპროექტო განაცხადები და ორგანიზება გაუკეთოს დონორებთან ინდივიდუალურ ინტენსიურ შეხვედრებს.

ამოცანა **4.3** სასწავლო ცენტრის საქმიანობა და მომსახურება ცნობილია საზოგადოების ფართო ფენებისთვის. მიმდინარე პერიოდში დაგეგმილია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება და ძირითადი პროცესების დაგეგმვა აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე, მომხმარებელთა მოთხოვნების კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით სასწავლო პროგრამების შემუშავება, სასწავლო ცენტრის პოპულარიზაციის ხელშემწყობი კამპანიის დაგეგმვა.

ამოცანა **4.4** სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურა გამართულია, პასუხობს მომხმარებლის საჭიროებებსა და მომსახურების სტანდარტს. მიმდინარე პერიოდში დაგეგმილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ყვარლის სასწავლო ცენტრის აღჭურვა სპორტული სავარჯიშო დანადგარებით.

ამოცანა **4.5** ტრენერების კვალიფიკაციის ამაღლება და შიდა რესურსის გაძლიერება.

ტრენერების გუნდის განვითარება/გაძლიერება და სასწავლო კურსების განახლება/მოდერნიზება; ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; შესაბამის რეგიონებში ადგილობრივი ტრენერების მობილიზება; ტრენერების ანაზღაურების მოქნილი სისტემის შექმნა.

სქემა N 1

იუსტიციის სასწავლო ცენტრის სტრატეგიული გეგმის შედეგების ჩარჩო (2020-2021)

მისია / გრძელვადიანი მიზანი: სასწავლო ცენტრის მისიაა აქტიურად იყოს ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლებას, სამართლებრივი რეფორმებისა და ახალი მიდგომების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სამიზნე ჯგუფებისთვის - რათა ქვეყანაში დაცული იყოს ადამიანის უფლებები და საზოგადოების უსაფრთხოება, უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება, ხელი შეეწყოს ქვეყანაში კარგი მმართველობისა და თავისუფალი ბიზნეს გარემოს განვითარებას.

ს.მ.1 ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

ს.მ.2 იუსტიციის სამინისტროს სისტემის განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობა.

ამოცანა **1.1** შესაბამისი სამიზნე ჯგუფები ფლობენ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას;

ამოცანა **1.2** შექმნილია საკანონმდებლო ცვლილებების დანერგვისა და განმტკიცების ეფექტური მექანიზმები.

ამოცანა **1.3** იუსტიციის სამინისტროს სისტემის მიერ ეფექტიანად ხორციელდება სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ მიმართული სოციალური პროექტები.

ამოცანა **2.1** დაინტერესებული მხარეები იღებენ საჭიროებების შესაბამის მომსახურებას და პროდუქტებს.

ამოცანა **2.2** პენიტენციურ სისტემაში დანერგილია საჭიროებათა გამოვლენის და განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვის სტანდარტი.

ს.მ.3 ცენტრის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ინოვაციური მიდგომების განვითარება.

ამოცანა 3.1 გაზრდილია ხელმისაწვდომობა ცენტრის სერვისებზე, რაც ხელს უწყობს დაინტერესებულ ორგანიზაციებში სწავლების თანამედროვე მიდგომების, მომხმარებლის ინტერესებზე ორიენტირებული მომსახურების, ეფექტიანი მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების / მეთოდების ადაპტირებასა და დანერგვას.

ს.მ.4 სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, რესურსების განვითარების, ეფექტიანი მართვისა და ხარისხის მაღალი სტანდარტების დანერგვის გზით.

ამოცანა 4.1 სასწავლო ცენტრში დანერგილია და მუდმივად უმჯობესდება ხარისხის მართვის მაღალი სტანდარტი.

მოცანა4.2. სასწავლო ცენტრი ფინანსურად მდგრადია.

მოცანა4.3 სასწავლო ცენტრის საქმიანობა და მომსახურება ცნობილია საზოგადოების ფართო ფენებისთვის.

მოცანა 4.4 სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურა გამართულია, პასუხობს მომხმარებლის საჭიროებებსა და მომსახურების სტანდარტს.

ამოცანა 4.5 ტრენერების კვალიფიკაციის ამაღლება და შიდა რესურსის გაძლიერება.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

(+995 32) 294 22 46, 238 22 59, 294 22 17

ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1

trainingcenter@tcj.gov.ge

tcj.gov.ge